ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“

შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 30 ნოემბრის №01-09/26 ბრძანების დანართი №1

ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის პოლიტიკა

2022

სარჩევი

მუხლი 1.	ზოგადი დებულებები	1
მუხლი 2.	უნივერსიტეტში კარიერული მხარდაჭერის სერვისების განვითარების მიმართულებები	1
მუხლი 3.	საუნივერსიტეტო კლინიკებში დასაქმება	2
მუხლი 4.	სამედიცინო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაღრმავება	2
მუხლი 5.	კარიერული უნარების განვითარება	3
მუხლი 6.	სალიცენზიო გამოცდებისთვის მომზადება	3
მუხლი 7.	სამიზნე ქვეყნების აღიარების მოპოვება	3
მუხლი 8.	განათლების ინტერნაციონალიზაცია	4
მუხლი 9.	კურსდამთავრებულთა კლუბი	4
მუხლი 10.	დასკვნითი დებულებები	5

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. შპს ,,ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის" (შემდეგში - „უნივერსიტეტი" ან „ავიცენა") **სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის პოლიტიკა** (შემდეგში - „პოლიტიკის") განსაზღვრავს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების საქართველოში და განსაკუთრებით, აჭარის რეგიონში, ასევე საზღვარგარეთ, სამიზნე ქვეყნებში, პროფესიით დასაქმების, კარიერული წარმატებისთვის აუცილებელი უნარების განვითარების, ინფორმირებულობისა და სამედიცინო მომსახურების პროვაიდერ პარტნიორებთან თანამშრომლობის ეფექტურ მექანიზმებს.

1.2. პოლიტიკის მთავარი მიზანია მოახდინოს უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსების ორიენტირება კურსდამთავრებულთა წარმატებული დასაქმების მიმართულებით; უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად სტუდენტთა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა და მათი კარიერული წარმატების, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეპუტაციაზე მოქმედი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორის, მნიშვნელობის დეკლარირება, უნივერსიტეტის საქმიანობის სტრატეგიულ და ოპერაციულ დონეზე.

1.3. პოლიტიკა გამომდინარეობს უნივერსიტეტის მიერ დეკლარირებული მისიიდან, სტრატეგიული განვითარების გეგმიდან და ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი პრინციპებიდან.

მუხლი 2. უნივერსიტეტში კარიერული მხარდაჭერის სერვისების განვითარების მიმართულებები

2.1. უნივერსიტეტში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მხარდაჭერა და ხელშეწყობა ხორციელდება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

2.1.1. მსურველი კურსდამთავრებულების საუნივერსიტეტო კლინიკებში დასაქმების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისთანავე;

2.1.2. ქვეყნის და რეგიონის სამედიცინო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაღრმავება, დასაქმების დამატებითი, ალტერნატიული მიმართულებების შეთავაზების მიზნით;

2.1.3. სწავლის პერიოდის განმავლობაში კარიერული და ტრანსფერული უნარების განვითარება, კურიკულუმგარე აქტივობების, ტრენინგების და მასტერკლასების ორგანიზებით.

2.1.4. სწავლის პერიოდში სამიზნე ქვეყნების სალიცენზიო გამოცდებისთვის სტუდენტების მომზადება, საგამოცდო მოსამზადებელი კურსების მსურველი სტუდენტებისთვის კურიკულუმგარე შეთავაზების გზით;

2.1.5. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამისთვის სამიზნე ქვეყნების აღიარების მოპოვება, უნივერსიტეტის დიპლომის აღიარებისა და უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდის მიზნით, რაც შედეგად ხელს შეუწყობს შესაბამის ქვეყანაში სტუდენტის დასაქმებას.

2.1.6. სწავლების პერიოდში განათლების ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სასწავლო პერსონალის

მოწვევისა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვის გზით, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის მეტ შესატყვისობას სხვადასხვა ქვეყნის მედიცინის სფეროს მოთხოვნებთან.

მუხლი 3. საუნივერსიტეტო კლინიკებში დასაქმება

3.1. უნივერსიტეტი, პარტნიორ სამედიცინო კლინიკებთან გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, უზრუნველყოფს რეგიონში დასაქმების მსურველი კურსდამთავრებულების დასაქმებას ავიცენას საუნივერსიტეტო (აფილირებულ) კლინიკებში.

3.2. ავიცენას საუნივერსიტეტო (აფილირებული) კლინიკები და უნივერსიტეტი ერთობლივად უზრუნველყოფენ დასაქმებული კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების დაგეგმვას, მათ მიერ რეზიდენტურის/პროფესიული მზადების პროგრამების გავლის შესაბამისად.

3.3. ავიცენას საუნივერსიტეტო (აფილირებული) კლინიკები ყოველწლიურად უზრუნველყოფენ ვაკანსიების მიწოდებას უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახურისთვის.

3.4. უნივერსიტეტის მხრიდან აფილირებულ/საუნივერსიტეტო კლინიკებში დასაქმების პროცესის კოორდინაციას უზრუნველყოფს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური, ხოლო პროცესის ზედამხედველობას - უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე კლინიკური ბაზებისა და სასწავლო რესურსების მართვის მიმართულებით.

მუხლი 4. სამედიცინო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაღრმავება

4.1. ქვეყნის და რეგიონის სამედიცინო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაღრმავება მიზნად ისახავს როგორც სწავლის პერიოდში კლინიკური პრაქტიკის გავლის დამატებითი შესაძლებლობის შეთავაზებას უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, ასევე დასაქმების დამატებითი, ალტერნატიული მიმართულებების შეთავაზებას ქვეყნის და რეგიონის სამედიცინო დაწესებულების ვაკანსიებზე.

4.2. უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური უზრუნველყოფს ქვეყნის და რეგიონის სამედიცინო დაწესებულებებთან პერიოდულ კომუნიკაციას, არსებული ვაკანსიების, ვაკანსიებზე დასაქმებული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა რაოდენობის და სამედიცინო დაწესებულებაში კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მიმართულებით ინფორმაციის მისაღებად.

4.3. უნივერსიტეტის მხრიდან სამედიცინო დაწესებულებეთან თანამშრომლობის გაღრმავების პროცესზე პასუხისმგებელია და ზედამხედველობას უწევს - უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე კლინიკური ბაზებისა და სასწავლო რესურსების მართვის მიმართულებით.

მუხლი 5. კარიერული უნარების განვითარება

5.1. სწავლის პერიოდის კარიერული და ტრანსფერული უნარების განვითარება მოიცავს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის კურიკულუმგარე აქტივობების, ტრენინგების და მასტერკლასების ორგანიზებას, რომელიც ორიენტირებული იქნება დამსაქმებლებთან კომუნიკაციის, სამედიცინო კარიერის დაგეგმვის, ასევე შრომის ბაზარზე აქტუალური სხვა უნარების გამომუშავებაზე.

5.2. უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური უზრუნველყოფს კარიერული განვითარების საჭიროებების კვლევას, შესაბამისი ტრენინგების საჭიროებების განსაზღვრას, ტრენერებთან კომუნიკაციას და ტრენინგებისა და სხვა აქტივობების ორგანიზაციულ მხარდაჭერას.

5.3. უნივერსიტეტის მხრიდან კარიერული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესს ზედამხედველობას უწევს რექტორის მოადგილე კლინიკური ბაზებისა და სასწავლო რესურსების მართვის მიმართულებით.

მუხლი 6. სალიცენზიო გამოცდებისთვის მომზადება

6.1. სამიზნე ქვეყნების სალიცენზიო გამოცდებისთვის სტუდენტების მომზადება, გულისხმობს მსურველი სტუდენტებისთვის სწავლის პერიოდში კურიკულუმგარე აქტივობების - მოსამზადებელი კურსებისა და ტრენინგების შეთავაზებას, სასურველი სალიცენზიო გამოცდისთვის (USMLE, PLAB, FMGE და სხვა.) მომზადების მიმართულებით.

6.2. უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური უზრუნველყოფს უცხო ქვეყნის სალიცენზიო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსების საჭიროების კვლევას და საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული დაგეგმარების სამსახურთან და უწყვეტი პროფესიული განვითარების ცენტრთან ერთად შესაბამისი ტრენინგების საჭიროებების განსაზღვრას, ტრენერებთან კომუნიკაციას და ტრენინგებისა და სხვა აქტივობების ორგანიზაციულ მხარდაჭერას.

6.3. უნივერსიტეტის მხრიდან უცხო ქვეყნის სალიცენზიო გამოცდისთვის მომზადების ღონისძიებების დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესს ზედამხედველობას უწევს რექტორის მოადგილე კლინიკური ბაზებისა და სასწავლო რესურსების მართვის მიმართულებით, უწყვეტი პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელთან და აკადემიური და სტრატეგიული დაგეგმარების მიმართულებით რექტორის მოადგილესთან თანამშრომლობით.

მუხლი 7. სამიზნე ქვეყნების აღიარების მოპოვება

7.1. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამისთვის სამიზნე ქვეყნების აღიარების მოპოვება გულისხმობს უნივერსიტეტის მიერ შესაბამისი ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოებთან კომუნიკაციას, აღიარების მოპოვების მოთხოვნას, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ამ აღიარების მოთხოვნების შესაბამისობაზე შეფასებისა და აღიარების განაცხადის/აპლიკაციის ინიცირებას, უნივერსიტეტის დიპლომის აღიარებისა და

უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდის მიზნით, რაც შედეგად ხელს შეუწყობს შესაბამის ქვეყანაში უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის დასაქმებას.

7.2. უცხო ქვეყნის უფლებამოსილ ორგანოებთან კომუნიკაციას, აღიარების მოთხოვნების მოპოვებას და აღიარების განაცხადის/აპლიკაციის ინიცირების პროცესს უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული დაგეგმარების სამსახური.

7.3. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის უცხო ქვეყანაში აღიარების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებისა და შესაბამისობის მიღწევის რეკომენდაციებს გასცემს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

7.4. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის უცხო ქვეყნაში აღიარების მიღების პროცესს ზედამხედველობს რექტორის მოადგილე აკადემიური და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან თანამშრომლობით.

მუხლი 8. განათლების ინტერნაციონალიზაცია

8.1. სწავლების პერიოდში განათლების ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს საერთაშორისო პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სასწავლო პერსონალის მოწვევასა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვას, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის მეტ შესატყვისობას სხვადასხვა ქვეყნის მედიცინის სფეროს მოთხოვნებთან.

8.2. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის ინტერნაციონალიზაციის პროცესს უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული დაგეგმარების სამსახური, უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულთან (სკოლასთან) და შესაბამისი საგანამანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან თანამშრომლობით.

8.3. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის ინტერნაციონალიზაციას ზედამხედველობს რექტორის მოადგილე აკადემიური და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით, შესაბამისი სკოლის დეკანთან თანამშრომლობით.

მუხლი 9. კურსდამთავრებულთა კლუბი

9.1. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კლუბი წარმოადგენს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების გაერთიანებას, რომლის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მისი კურსდამთავრებულების კონტაქტის შენარჩუნება და გაღრმავება, კურსდამთავრებულთაგან მათი პროფესიული კარიერის განვითარების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, კონსულტირება კარიერული განვითარების გზების შესახებ და კურსდამთავრებულების საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში ჩართვა, მათი შეფასებების გათვალისწინებით.

9.2. კურსდამთავრებულთა კლუბის ინფორმაციულ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური.

9.3. კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების პროცესის ორგანიზებასა და კოორდინირებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1. უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის მიღებისა და მათ მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების ვადების განსაზღვრის შესაბამისად, უნივერსიტეტის რექტორი უზრუნველყოს წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული აქტივობების უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმასა და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების სამუშაო გეგმებში ასახვის პროცესის ზედამხედველობას.

10.2. პოლიტიკა ძალაში შედის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებისთანავე.